თამარ მესხი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ჯვრის მონასტრის სტატუსი XVI საუკუნის I ნახევარში

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ჯვრის მონასტრის სტატუსი უშუალოდ იყო დამოკიდებული იმ ხალხების პოლიტიკური ცხოვრების აღმავლობასა და დაქვეითებაზე, ვის ხელშიც იყო იერუსალიმი: ბიზანტიელების, სპარსელების, არაბების, ჯვაროსნების, მამლუქების თუ ოსმალების. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ სულთან ბაიბარსის დროს ჯვრის მონასტერი (1272 თუ 1273 წ.) მეჩეთად გადააკეთეს.

ვინაიდან ჯვრის მონასტერს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოსთან, ამიტომ ჯვრის მონასტრის სტატუსზე საუბრისას ვითვალისწინებთ როგორც იერუსალიმში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ასევე იმას, თუ რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა იერუსალიმის საპატრიარქო კონსტანტინეპოლის დაცემის (1453 წ.) შემდეგ და XVI საუკუნის პირველ ნახევარში.

იერუსალიმის ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევრის, ელადის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოს პაპადოპულოსის თანახმად, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ იერუსალიმის ეკლესია ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. თითქმის 50 წლის განმავლობაში ვერ ახერხებდა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობას. ეკლესიათა დედას მოაკლდა მზრუნველი და გულშემატკივარი, შეწყდა პილიგრიმობა. ქვეყნის მკაცრი მმართველების – მამლუქების მიერ მონასტრებიდან იდევნებოდნენ ბერძენი ბერები, იცლებოდა მონასტრები, ინგრეოდა ტაძრები, პატრიარქები კი, შეკვეცილი უფლებებისა და უსახსრობის გამო, ვერც მონასტრებს ინარჩუნებდნენ და ვერც ტაძრების შეკეთებას ახერხებდნენ (Χρυσοστόμου 1970, 503).

კონსტანტინეპოლის დაცემას არც საქართველოსთვის ჩაუვლია უმტკივნეულოდ. საქართველო სრულიად მარტო აღმოჩნდა ქრისტიანებისადმი მტრულად განწყობილ მუსლიმურ გარემოცვაში. გადაეკეტა გზა კულტურული დასავლეთისკენ; მოწყდა მსოფლიო ბაზრებს, რამაც ქვეყნის ეკონომიკური დასუსტება გამოიწვია. ყოველივე ამას დაემატა შინაური აშლილობა. XVI საუკუნის დამდეგისთვის საქართველო უკვე დანაწევრებული იყო ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის საათაბაგოდ.

ჯვრის მონასტრის აღაპებიდან და იერუსალიმური ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებიდან ჩანს, რომ საქართველოში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიუხედავად, XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების მიმართ ყურადღებას იჩენდნენ სამხრეთ საქართველოს გამოჩენილი ფეოდალური სახლის – ათაბაგთა ოჯახის წევრები, ქართლისა და კახეთის მეფეები. ამ ეპიზოდური და

არასტაბილური ზრუნვის პირობებშიც კი ქართველმა სასულიერო პირებმა 1517 წლამდე შეინარჩუნეს ის პრივილეგიები, რაც ბურჯელი (ჩერქეზი) მამლუქების მმართველობის დროიდან (1383 წ.) მოიპოვეს. არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707 წწ.): *„…მას შემდეგ, რაც ოტომანებმა კონსტანტინეპოლი დაიპყრეს, იერუსალიმში შეიჯავრეს ბერძნები. მათ ერთადერთ ნუგეშს წარმოადგენდნენ იბერიელები; რადგან ეგვიპტელთა სულტნები იყვნენ ჩერქეზები, აბაზგები და იბერიელები, ამიტომ იბერიელებმა შეძლეს დაეცვათ სალოცავები და მონასტრები...“* (Δοσιθέου Ἱεροσολύμων 1715, 1165).

1517 წლიდან იერუსალიმში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. ოსმალთა სულთანმა სელიმ I-მა (1512-1520) მამლუქთა სახელმწიფო დაშალა, დაიპყრო პალესტინა, სირია და ეგვიპტე. იერუსალიმის დაპყრობით გახარებულმა სელიმ I-მა შემწყნარებლობა გამოიჩინა და იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილებაში დატოვა იერუსალიმსა და მის გარეთ არსებული წმიდა სალოცავები, რომლებიც ხალიფა უმარისა და წინა სულტნების მიერ მიეცა. იერუსალიმის პატრიარქს, დოროთეოს ატალას (1505-1537 წწ.), საგანგებო ფირმანი უბოძა, რომელშიც ნათქვამია: *„ ...წყალობითა მაღალი ღმრთისა და მისი საყვარელი მოციქულისა, მოვედი იერუსალიმს, სახლსა ღმრთისა ჩემისა, დავიპყარი იგი სეფერის თვის 25-ე დღეს. მოვიდა ბერძენთა პატრიარქი, წოდებული ატალად, სხვა ბერებთან და მისადმი დამორჩილებულ პირებთან ერთად, და ითხოვა, რომ იერუსალიმსა და მის გარეთ მდებარე ეკლესიები, მონასტრები და სალოცავები თავიანთ განმგებლობასა და სარგებლობაში ჰქონდეთ, ისევე როგორც ადრე, ომარის წმინდა ახტინამესა და ადრინდელ მეფეთა ბრძანებულებების თანახმად [ჰქონდათ]. მეც ჩემი ამ წმინდა ბრძანებულებით ვბრძანებ, რომ განკარგონ კუმამას (აღდგომის ეკლესიის - თ. მ.) კარიბჭის პირდაპირ და სამხრეთით მდებარე მუღთესელი* (გარდამოხსნა- თ.მ.) *ორი ძველი შანდლითა და კანდელებით, ოთხი თაღი, მდებარე გოლგოთად წოდებული ადგილის ზემოთ და ქვემოთ, რომელიც საპატრიარქოს ექვემდებარება. შვიდი თაღის ზემოთ და ქვემოთ მდებარე ადგილი, ცნობილი სახელწოდებით ქალწულ მარიამისა; დიდი ეკლესიის შიდა სივრცე, საფლავი და კუბე* (გუმბათი- თ.მ), *ყველა სალოცავთან ერთად; კუმამეს გარეთ* (აღდგომის ეკლესიის - თ.მ.), *ეზოში მდებარე სამი ეკლესია, მათ წინ მდებარე ეკლესია წმ. იოანესი, საპატრიარქოს მფლობელობაში მყოფი წმ. ელენეს და წმ. თეკლას ეკლესიები, სეიდანაია, მონასტრები: წმ. ექვთიმესი, წმ. გიორგისა, წმ. იოანე ღმრთისმეტყველისა, თავისი ბაღით, წმ. ბასილის, წმ. ნიკოლოზის, წმ. დიმიტრის, ქალწულ მარიამისა, სხვა მონასტერი წმ. იოანესი და მისივე [სახელობის] სხვა ეკლესია, წმ. იაკობისა (ზებედელისა) გურჯთა, წმ. გიორგისა, იერუსალიმის გარეთ მდებარე საფლავი ქალწულ მარიამისა, წმ. სიონი, იესოს საპყრობილე, ანნას სახლი, ველზე მდებარე საფლავები,* ***გურჯთა მონასტერი***

ჯვარისა, *წმ. სიმეონისა, წმ. ილიასი, ზეთისხილის ბაღითა და ვენახით, წმ. საბასი, წმ. გიორგისა, მდებარე დაბაში პეცალა....“* და ა. შ.[1]

სულტნის ამ ბრძანებულებამ, ცხადია, იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის კმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ძალზე გაანაწყენა ლათინები და სომხები, რომლებიც წმიდა სალოცავების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ამიტომ ოსმალთა ბატონობის პერიოდში (1517-1917 წწ.) იერუსალიმის საპატრიარქოს უმთავრესი გამოწვევა წმინდა მიწის სალოცავების მათგან დაცვა იყო (Χρυσοστόμου 1910, 504-505). იმავე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა იერუსალიმის ქართული თემიც.

ბერძნებმა თავიანთი მონასტრების გადარჩენა იმით შეძლეს, რომ საშველად მოუხმეს სხვადასხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ თავიანთ თვისტომთ. 1523 წელს მიიღეს კიდევაც პირველი შესაწირავი კვიპროსიდან, წმ. საფლავის მონასტრისთვის. ამას მოჰყვა შესაწირავები აღდგომის ეკლესიისა და წმ. საბას მონასტრის გადასარჩენად. პატრიარქმა გერმანემ (1537-1579 წწ.) კი აღსაყდრებისთანავე დაიწყო მოგზაურობა ქრისტიანულ ქვეყნებში, ეკონომიკური დახმარების სათხოვნელად, რაც მომდევნო პატრიარქებმაც გააგრძელეს. უცხოეთში შეგროვილ შესაწირავს იერუსალიმის საპატრიარქო იყენებდა არა მხოლოდ საეკლესიო ნაგებობების აღსადგენად და შესაკეთებლად, არამედ მრევლის დასაპურებლად, სასწავლებლების და საავადმყოფოების მისახედად. სწორედ ამიტომ იმ ავბედით წლებში იერუსალიმში მართლმადიდებელთა რაოდენობა კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა (Χρυσοστόμου 1910, 514).

ბერძნებისგან განსხვავებით, ქართველები დახმარებას მხოლოდ სამშობლოდან ღებულობდნენ. ეს დახმარება კი იმდენად მწირი იყო, რომ ოსმალების მიერ გაზრდილი გადასახადის დაფარვა გაუძნელდათ. იძულებული გახდნენ, დაეგირავებინათ საეკლესიო ნივთები, ბაღები და მიწები. ქართველთა გაჭირვებით ისარგებლეს სომხებმა და კათოლიკეებმა, რომლებმაც მალე მიაღწიეს საწადელს: სომხებმა ხელში ჩაიგდეს წმ. იაკობის მონასტერი (1534-1579 წწ. შორის), კათოლიკეებმა – იოანე ღმრთისმეტყველისა (1561 წ.), მოგვიანებით კი, XVI საუკუნის მიწურულიდან, ქართულ მონასტრებს დაეუფლნენ ბერძნები.

ელადის მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი ქართველების მიერ ეკლესია-მონასტრების დაკარგვის უმთავრეს მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ *„ჯვრის მონასტერს ხშირად ორი წინამძღვარი ჰყავდა, ერთი ზემო და მეორე ქვემო იბერიიდან* (ანუ, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან – თ. მ.), *რაც მოგვიანებით ქართველი ბერების უამრავი უთანხმოების მიზეზი გახდა“* (Χρυσοστόμου 1905, 30). ერთ-ერთ სხვა მიზეზად კი იმას მიიჩნევს, რომ, *„ერთმანეთთან ქიშპობით დაკავებულმა იბერიელებმა ნება დართეს უცხოელებს მათ მონასტრებში დამკვიდრებულიყვნენ“* (Χρυσοστόμου 1905, 32).

[1] ოსმალური დოკუმენტები, აქაც და სხვა შემთხვევაშიც, თარგმნილია ჩემ მიერ არა დედნიდან, არამედ მათი ბერძნული თარგმანებიდან (Ἀνάλεκτα III 1897, 219-222 [თ. მ.].

ის, რომ ქართველმა ბერებმა მონასტრებში უცხო ტომისა და აღმსარებლობის წარმომადგენლები (იაკობიტები, ნესტორიანელები, კოპტები, აბისინიელები, სომხები) შეუშვეს, ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის დიდი ხანია ცნობილია. ამის შესახებ ჯერ კიდევ ალ. ცაგარელი წერდა (Цагарели 1888, 97). რაც შეეხება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ერთდროულად ორი ჯვარისმამის (წინამძღვრის) მოღვაწეობას, ამაზე ყურადღება დღემდე არავის გაუმახვილებია. ქრიზოსტომოსი ამას კი წერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელ საბუთებს არ მიუთითებს. თუმცა, მისი სიტყვები სინამდვილეს რომ შეესატყვისება, ეს კარგად ჩანს 1538 წლის ოსმალური ფირმანიდან.

1520 წლის 21 სექტემბერს სელიმ I (1512-1520 წწ.) გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი შვილი სულეიმან I კანუნი (1520-1566 წწ.). იერუსალიმის ყოველი პატრიარქი ცდილობდა, დამპყრობელთან ახალი ხელშეკრულება დაედო. 1538 წელს ასეთი ხელშეკრულება დაიდო იერუსალიმის პატრიარქ გერმანესა (1537-1579 წწ.) და სულთან სულეიმან I-ს შორის. მის მიერ გაცემულ ფირმანში წერია: *„იმოქმედეთ ჩემი წმიდა ბრძანებულების თანახმად, მისი უგულვებელყოფის მოსურნე კი მიიღებს სასჯელს მაღალი ღმრთისგან და რისხვას ზეპატიოსნისა წინასწარმეტყველისაგან. იერუსალიმში მცხოვრებმა ბერძენთა პატრიარქმა, სახელად გერმანოსმა, ჩემს კარზე [მოსულმა] განაცხადა და გვაუწყა, რომ მაშინ, როდესაც ჩემმა მარადსახსოვარმა მამამ, სულთან სელიმ ხანმა, იერუსალიმი დაიპყრო, მაშინდელი პატრიარქი დოროთეოსი (ატალა), სხვა ბერებთან და მხასურებთან ერთად, სამეფოს წინაშე წარსდგა და სთხოვა მის ძლიერებას, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა მონასტერი, ეკლესია და სალოცავი, რომლებიც მდებარეობს იერუსალიმსა და მის გარეთ, ისევე როგორც ადრე, კვლავაც მის განკარგულებაში დაეტოვებინა; ჩემმა განსვენებულმა მამამ, ომარის ახტინამესა და სხვა მეფეთა ბრძანებულებების საფუძველზე, შეიწყალა ისინი და ბრძანა, რომ მათ განკარგულებასა და სარგებლობაში დარჩენილიყო იერუსალიმსა და მის გარეთ მდებარე ეკლესიები, მონასტრები და სალოცავები: კუმამას* (აღდგომის ტაძრის - თ.მ.) *კარის მოპირდაპირედ და სამხრეთით მდებარე მუღთესალი* (გარდამოხსნა - თ.მ.), *შანდლებითა და კანდელებით, ოთხი თაღი გოლგოთის ზემოთ და ქვემოთ, შვიდი თაღი ქალწულ მარიამის სახელობის ადგილის ქვემოთ და ზემოთ, დიდი ტაძარი, ტაძრის შიდა [სივრცე] და მისი გუმბათი, ტაძარში მდებარე ყველა სალოცავთან ერთად, ტაძრის გარეთ, ეზოში მდებარე სამი ეკლესია, მათ მოპირდაპირედ მდებარე ტაძარი იოანესი... სხვა მონასტერი წმ. იოანესი (ზებედელისა), გურჯთა, ბაღითა და ზეთისხილის ბაღნარით; იესოს სატუსაღო, წმ. გიორგისა, მდებარე იერუსალიმის გარეთ, საფლავი ქალწულ მარიამისა, ელეონის მთისა, სიონში მდებარე დავით წინასწარმეტყველის ეკლესია, ელეონის მონასტერი, ანნას სახლი, ველზე მდებარე სასაფლაო,* ***მეგრელთა-ქართველთა მონასტერი ჯვარისა,*** *სვიმეონის მონასტერი...* და ა.შ. (Ἀνάλεκτα III 1897, 222-225.).

როგორც ვხედავთ, სულთან სულეიმანის მიერ გაცემულ ფირმანში იერუსალიმის ეკლესია-მონასტრები ჩამოთვლილია იმავე თანმიმდევრობით, როგორც სელიმ I-ის მიერ 1517 წელს გაცემულ ფირმანში. ოღონდ, თუ 1517 წლის ფირმანში ჯვრის მონასტერი მოიხსენიება როგორც ***„გურჯთა მონასტერი***

ჯვარისა“, სულეიმან I-ის ფირმანში მოიხსენიება როგორც ***„მონასტერი ჯვარისა მეგრელთა-გურჯთა“*** (რუსული თარგმანის მიხედვით, «…***монастырь Креста, принадлежащий Менгрельцам* Грузинам»)** (Православный Палестинский Сборник 1904. 236), რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ქრიზოსტომოსის ცნობა, ჯვრის მონასტერში ორი ჯვარისმამის მოღვაწეობის შესახებ, სიმართლეს შეესაბამება.

ამრიგად, წარმოდგენილი ოსმალური ფირმანების მიხედვით, 1517-1538 წლებს შორის ჯვრის მონასტრის სტატუსი შეცვლილა. მართალია, ამ ფირმანების მეშვეობით, ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ის კი ნათლად ჩანს, რომ **XVI საუკუნის პირველ ნახევარში ჯვრის მონასტრის სტატუსის შეცვლა მომხდარა არა ოსმალების, სომხების, კათოლიკეების ან ბერძნების მცდელობით, არამედ თავად ქართველების მიერ.** თუ რატომ და როგორ მოხდა ეს, ამის ახსნა რთული არ არის.

ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოს ეკლესიაც გაიმიჯნა ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებად. ამის ინიციატორი იყო დასავლეთ საქართველოს ძლიერი მთავარი შამადავლე დადიან-გურიელი, რომელსაც მხარი დაუჭირა ერთ დროს ქართლ-იმერეთის მეფემ, ბაგრატ VI-მ (იმერეთში ბაგრატ II), რომელსაც იმ დროისათვის დაკარგული ჰქონდა ქართლის მეფობა და მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფე იყო. ამიტომ შეეცადა, დასავლეთ საქართველო ეკლესიურადაც დამოუკიდებელი გაეხადა. მათ აფხაზეთის კათოლიკოსად გამოარჩიეს ცაიშელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსი იოვაკიმე. შეადგინეს სათანადო საეკლესიო კანონმდებლობითი დოკუმენტიც, *„მცნებად სასჯულოდ“* (1470-1474 წწ.), რომელიც დაამტკიცებინეს ანტიოქიის პატრიარქ მიქაელს. დოკუმენტში კათოლიკოსი იოვაკიმე მოიხსენიება როგორც *„მარჯვენად იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი“*, რომელიც დააყენეს *„აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა“* (ქართული სამართლის ძეგლები 1970, 222).

დასახელებული დოკუმენტის ბოლოდროინდელ მკვლევართა, თ. ქართველიშვილისა და თ. ქორიძის, განმარტებით, დასავლეთ საქართველოს წმ. ანდრია პირველწოდებულის საყდრად მოხსენიებით, ხსენებული დოკუმენტის შემდგენლებს სურდათ, ხაზი გაესვათ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის კანონიერებისათვის. ამასთან, *„მცნებად სასჯულოდს“* ერთ-ერთი ავტორი ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI, როგორც ქართლში პოლიტიკური და ეკლესიური გაბატონების პრეტენზიის მქონე მონარქი, საფიქრებელია, რომ აფხაზეთის კათოლიკოსის ტიტულში ანდრია პირველწოდებულთან თანამოსაყდრეობის ხაზგასმით ფონს ქმნიდა ქართლის კათოლიკოსთან აფხაზეთის კათოლიკოსის არა მხოლოდ გათანაბრების, არამედ უპირატესობის მოპოვებისა და ქართლის, როგორც წმიდა ნინოს დაარსებული ეკლესიის, დაქვემდებარებისა და დამორჩილებისა (ქართველიშვილი და ქორიძე 2019, 92), რაც, უდაოდ, სწორი თვალსაზრისია.

იმავე მკვლევრების თანახმად, გამოყოფის ინიციატორებმა *„მცნებად სასჯულოში“* საგანგებოდ შეთხზეს აფხაზეთის კათოლიკოსის მაკურთხეველის

– ანტიოქიის პატრიარქ მიქაელის ტიტული და მას იერუსალიმის მღვდელმთავრობაც მიაწერეს. აფხაზეთის კათოლიკოსად ახლადნაკურთხი იოაკიმე კი გამოაცხადეს *„იერუსალიმის მარჯვენად“, „მარჯვენა ქრისტეს საფლავისა“, „მამაგრებელი ახალი იერუსალიმისა და ქრისტეს საფლავისა“.* ამას კი აფხაზეთის კათოლიკოსისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მცხეთასთან, როგორც ახალ იერუსალიმთან გათანაბრების თვალსაზრისით (ქართველიშვილი და ქორიძე 2019, 94).

ჩვენი აზრით, *„მცნებაჲ სასჯულოში“* ანტიოქიის პატრიარქ მიქაელის იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქად მოხსენიება, გაცილებით უფრო დიდი პრეტენზიის შემცველია, ვიდრე აფხაზეთის კათოლიკოსის მცხეთასთან, როგორც ახალ იერუსალიმთან გათანაბრებისა. ამასთან, ეკლესიის გათიშვის მოსურნეთ ანტიოქიის პატრიარქისათვის იერუსალიმის პატრიარქობა საგანგებოდ არ „მიუწერიათ“. ანტიოქიის პატრიარქებს პრეტენზია იერუსალიმის პატრიარქობაზე იმ დროიდან ჰქონდათ, რაც იერუსალიმის ეპისკოპოსს პატრიარქის ტიტული ებოძა (451 წ.), რადგან მანამდე იერუსალიმი, ვითარცა საეპისკოპოსო, ანტიოქიის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდა. დავა ამ საკითხ გამო, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორის, სხვადასხვა საეკლესიო თუ თეოლოგიური საკითხების გამწვავების ფონზე, მომდევნო საუკუნეებშიც არაერთხელ განახლებულა[2].

---

[2] ანტიოქიის პატრიარქის პრეტენზიის უკეთ გასაგებად, გავიხსენოთ იერუსალიმის საპატრიარქოს დაარსების ისტორია: როდესაც იუდეველები რომაელებს აუჯანყდნენ (66-70 წწ.), იერუსალიმში მცხოვრები ქრისტიანები, რომელთა შორისაც ლტოლვილი მოციქულების „მოწაფეთა მოწაფენიც“ იყვნენ, მდინარე იორდანეს მარცხენა სანაპიროზე მდებარე ქ. პელაში გადავიდნენ. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა ადრიანემ იერუსალიმის ნანგრევებზე ქალაქი ელია კაპიტოლინა ააშენა (135 წ.), ქრისტიანებმა იქ თავიანთი ეკლესია დააარსეს. ელიაში დაბრუნდნენ პელაში ლტოლვილი ქრისტიანებიც და იერუსალიმის ეკლესიის ამაღორძინებლები გახდნენ. მეტროპოლიური მმართველობის შემოღებისთანავე ელიას საეპისკოპოსო პალესტინის კესარიის მიტროპოლიტს დაუქვმდებარეს, რადგან კესარია პროვინციის დედაქალაქი იყო. მიუხედავად ამისა, ელიას ეპისკოპოსი განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. ტვიროსის კრების (335 წ.) შემდეგ, იერუსალიმის ეპისკოპოს მაქსიმესა და კესარიის მიტროპოლიტ აკაკიოსს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ეს უთანხმოება გამძაფრდა იერუსალიმის ეპისკოპოს კირილეს დროს. კირილემ, თავისი ტახტის სამოციქულოობიდან გამომდინარე, პირველობა მოითხოვა. კონფლიქტი კიდევ უფრო გამწვავდა IV საუკუნის დასასრულს, როდესაც პალესტინა კესარიის, სკვითოპოლისისა და პეტრას პროვინციებად დაიყო, რადგან მაშინ კესარიის მიტროპოლიტის როლი მკვეთრად შესუსტდა. 431 წელს იერუსალიმის ეპისკოპოსმა იუვენალიოსმა (422-458 წწ.) III მსოფლიო კრებაზე წამოაყენა მოთხოვნა, რომ ანტიოქიის საპატრიარქოსგან გამოეყოთ პალესტინა, ფინიკია და არაბეთი. ამ მოთხოვნას შეეწინააღმდეგა ანტიოქიის პატრიარქი იოანე, შემდგომ კი მისი მემკვიდრეები - დომინოს II და მაქსიმე. საკითხის გადაჭრა მხოლოდ IV მსოფლიო კრებაზე (451 წ.) მოხერხდა. იერუსალიმის ეპისკოპოსს ებოძა ე. წ. „სამი პალესტინის“ სამწყსო: კესარიის, სკვითოპოლისისა და პეტრას ეპარქიები, რომლებშიც იმ დროისათვის დაახლოებით 60

ამრიგად, *„მცნებაᲘ სასჯულოში“* ანტიოქიის პატრიარქ მიქაელის მოხსენიება ვითარცა *„იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიარქისა“*, „მიწერილი“ კი არა, ძველი სადაო საკითხის წინ წამოწევა იყო, რაც, ცხადია, გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა. მიზანი კი კარგად ჩანს აფხაზეთის კათოლიკოსის ეპითეტებში: *„იერუსალიმის მარჯვენა“, „მარჯვენა ქრისტეს საფლავისა“, „მამაგრებელი ახალი იერუსალიმისა და ქრისტეს საფლავისა“.* ამ ეპითეტებში ნათლად იკითხება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის პრეტენზია არა მხოლოდ მცხეთასთან, როგორც ახალ იერუსალიმთან გათანაბრებისა, არამედ იერუსალიმის ქართულ ეკლესია-მონასტრების მიმართ.

ანტიოქიის პატრიარქს კი ამოძრავებდა უფრო დიდი და შორსმიმავალი მიზნები: 1. ცდილობდა, აფხაზეთის საკათალიკოსო თავისი გავლენის სფეროში მოექცია, 2. აფხაზეთის საკათალიკოსოს მეშვეობით, იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრებიც თავისი გავლენის სფეროში მოექცია და ამით იერუსალიმის საპატრიარქოსთვის დისკომფორტი შეექმნა.

ბუნებრივია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია მცხეთის საკათალიკოსოს. სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს ის, რომ XVI საუკუნის დასაწყისიდან მცხეთის კათოლიკოსებმა თავიანთ ტიტულატურაში დააბრუნეს იერუსალიმის თემა უფლის კვართითა და მასზე დაფუძნებული სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრით (ქართული ისტ.საბუთების კორპუსი 1984. 22; 2013, 120; 2016, 59).

ჯვრის მონასტრის აღაპებიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკლესიის გათიშვის ინიციატორები ჩანაფიქრის განხორციელებას მაშინვე შეუდგნენ. ამის დასტურია თუნდაც ჯვრის მონასტერში აფხაზეთის კათოლიკოს იოვაკიმესთვის განწესებული საუკუნო აღაპი (მეტრეველი 1962, 88, 145), რაც იმას ნიშნავს, რომ კათოლიკოსმა მონასტერს გარკვეული ამაგი დასდო. გაამწესა თუ არა კათოლიკოსმა იოვაკიმემ (ან მომდევნო კათოლიკოსმა) ჯვრის მონასტერში ჯვარისმამა, ელ. მეტრეველის მიერ დადგენილი ჯვარისმამათა ქრონოლოგიური სიით შეუძლებელია. თუმცა, ამ სიაში ყურადღებას იპყრიბს ის გარემოება, რომ ბეენა ჩოლოყაშვილის ჯვარისმამობის (1511-1514 წწ.) შემდეგ, ვიდრე ლეონ კახთა მეფე ჯვარისმამად იოაკიმე ჩოლოყაშვილს წარგზავნიდა (1538 წ.), მთელი 24 წლის მანძილზე ჯვარისმამის ადგილი თავისუფალი ჩანს (მეტრეველი 1962, 40). მონასტრის ესოდენ დიდი ხნით წინამძღვრის გარეშე დატოვება, უმიზეზოდ არ მოხდებოდა. არ არის გამორიცხული, მიზეზი სწორედ მცხეთისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირება და შეუთანხმებლობა ყოფილიყო.

ამ ბოლო დროს ელ. მეტრეველის დადგენილი სიის დაზუსტებას და თავისუფალი ადგილის შევსებას დ. კლდიაშვილი შეეცადა. მისი დაკვირვებით, ქრისტეფორე ზედგინიძე, რომლის მოღვაწეობის ხანად ელ. მეტრეველი XV საუკუნის შუა წლებს (პირობით) ასახელებს, ჯვარისმამად მოღვაწეობდა XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ან XVI საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევარში, უფრო კი

საეპისკოპოსო შედიოდა. იერუსალიმის ეპისკოპოსს კი პატრიარქის ტიტული ებოძა (ვრცლად იხ.: თ. მესხი 2018, 201-203).

- 20-30-იან წლებში (კლდიაშვილი 2008, 125-128). თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტეფორე ზედგინიძე დასავლეთ საქართველოდან წარგზავნილი ჯვარისმამაა, რადგან ზედგინიძე-ამილახვრები ბაგრატ VI-ის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ (ნინიძე 19995, 78-79).

ასე იყო თუ ისე, ამის დადგენა, ვიდრე ახალი საბუთები არ გამოვლინდება, შეუძლებელია. 1538 წლის ოსმალური ფირმანი კი უტყუარი დასტურია ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისისა, რომ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს სურდა, ჯვრისა და სხვა ქართული ეკლესია-მონასტრები თავისი გავლენის სფეროში მოექცია. ცხადია, ამის მისაღწევად ჯვრის მონასტრისთვის უხვი შესაწირავის გაღება საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო იერუსალიმის საპატრიარქოსთან და ოსმალეთის ხელისუფლებასთან შეთანხმება, რაც ენერგიულ ქმედებასთან ერთად, გარკვეულ დროსაც მოითხოვდა.

ის გარემოება, რომ 1538 წლის ფირმანში ჯვრის მონასტერი მოიხსენიება როგორც მონასტერი *„მეგრელთა და გურჯთა“* და არა როგორც *„აფხაზთა და გურჯთა“,* განაპირობა დასავლეთ საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, რაზედაც საგანგებო სტატიაში ვისაუბრებთ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: XVI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მეფე-მთავრების ინტერესს იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მიმართ განაპირობებდა არა მხოლოდ *„ეროვნული სარწმუნოებისა და ეროვნული ღირსების დაცვა“,* როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშია დამკვიდრებული, არამედ ისიც, რომ ქართული სალოცავები თავიანთი გავლენის სფეროში მოექციათ. სწორედ მათი მცდელობით, 1538 წლიდან ჯვრის მონასტრის სტატუსი შეიცვალა და იგი მოიხსენიება როგორც *„მონასტერი მეგრელთა და გურჯთა“*. იმ დროიდან (შესაძლოა, უფრო ადრიდანაც) ჯვრის მონასტერში იგზავნებოდა ჯვარისმამა როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოდან. ჯვრის მონასტრის შემდგომი ისტორიიდან ჩანს, რომ ორი ჯვარისმამის ერთდროული მოღვაწეობა მონასტრისთვის საზიანო აღმოჩნდა.

ლიტერატურა

გაბაშვილი, ტიმოთე. 1956. მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი: მეცნიერება.

კლდიაშვილი, დარეჯან. 2008. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე. თბილისი: ნეკერი.

მამისთვალიშვილი, ელდარ. 2008. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.). თბილისი: არტანუჯი.

მამისთვალიშვილი, ელდარ. 2016. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. თბილისი: სამშობლო.

მენაბდე, ლევან. 1980. ძველი ქართული მწერლობის კერები, თბილისი: თსუ გამომცემლობა.

მესხი, თამარ. 2018. იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესია. ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. IV, 201-203. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

მეტრეველი, ელენე. 1962. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი: მეცნიერება.

ნინიძე, დავით. 1995. პროვინციის მეფეები XIV-XV სს. საქართველოში. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ჟანენი, რენე. 1921. ქართველები იერუსალიმში. სტამბოლი: საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა.

ქართველიშვილი, თეა. 2017. „მცნებაჲ სასჯულოჲ“ როგორც ბაგრატ VI-ის პოლიტიკის ინდიკატორი. კრ. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი IX (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), 620-633. თბილისი:

ქართველიშვილი, თეა, და ქორიძე თამარ. 2019. ქართლისა (აღმსავლეთ საქართველო) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათოლიკოსები და მათი ტიტულატურა (XV-XVIII სს.) (შედარება-ანალიზი). საისტორიო კრებული, ტ. 7, 90-107. თბილისი: მხედარი.

ქართლის ცხოვრება, ტ. II. 1959. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ქართლის ცხოვრება, ტ. IV. 1973. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ქართული სამართლის ძეგლები (საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები, XI-XIX სს.), 1970. ტ. III. ტექსტები გამოსცა, შენიშნვები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი: მეცნიერება.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. 1984. ტ. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ვალერი სილოგავამ, ნუკრი შოშიაშვილმა. თბილისი: მეცნიერება.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. 2013. ტ. II. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. 2016. ტ. II. შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ჯაფარიძე, გოჩა. 2011. ბეენა ჩოლოყაშვილი, ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში, საისტორიო კრებული, ტ. I, გვ. 83-138. თბილისი: მხედარი.

ჯაფარიძე, გოჩა. 2018. ქართველთა სავანეები და სამონასტრო თემი წმინდა მიწაზე XI-XVIII საუკუნეებში (არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების მიხედვით). თბილისი: მერიდიანი.

ჯავახიშვილი, ივანე. 1983. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

Ἀνάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχυολογίας III. 1897. 219-222. Ἐν Πετρούπολει: Ἐκ τοῦ τυπογραφείου Β. Κιρσπάουμ.

Δοσιθέου Ἱεροσολύμων. 1715. Περὶ τῶν ἐν Ἱεροσολύμοις πατριαρχεύσαντων. Βουκουρέστιον.

Χρυσοστόμου Παπαδοπούλου (Σχολάρχου τῆς Θεόλ. Σχολῆς τοῦ Σταυροῦ). 1905.Ἡ Ἱερὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτὴ Θεολογικὴ Σχολή. Ἐν Ἱεροσολύμοις: Ἐκ τοῦ τυπογραφείου τοῦ ἱεροῦ κοινοῦ τοῦ Παναγίου Τάφου.

Χρυσοστόμου Παπαδοπούλου (Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), 1970. Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων. Ἔκδοσις δεύτερα ἐπηυξημένη. Ἐν Ἀθήναις.

Православный Палестинский Сборник. 1904. Выпуск 55й. Том XIX. Выпуск 1й. с. 235-237. С.-Петербург: Типография В. Киршбаума.

Цагарели, А. 1888. Памятники Грузинской старины в Святой Земле и на Синае, Православный Палестинский Сборник, Выпуск 10й. Том IV. Выпуск 1й. С.-Петербург: Типография В. Киршбаума.